



**თემა: ილიაუნის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის
ეფექტურობის კვლევა**

ანა ბერუჩაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ასოცირებული პროფესორი დარეჯან ჯავახიშვილი

ასოცირებული პროფესორი ნინო მახაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019 წელი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ბერუჩაშვილი, 25.06.2019

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის ეფექტურობის კვლევას. კვლევის რესპოდენტები იყვნენ აღნიშნული ცენტრის კონსულტანტები და სერვისის მომხმარებელი სტუდენტები. კვლევის მეთოდოლოგია იყო შერეული და მოიცავდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების კომბინაციას. კვლევის რაოდენობრივ კომპონენტში დამუშავებულ იქნა დეპრესიის, შფოთვის, ფუნქციონირებისა და კონსულტირების გამოსავლის სკრინინგ-კითხვარები, რომლითაც სერვისის კონსულტანტები სტუდენტების მდგომარეობას სესიების საწყის და საბოლოო ეტაპზე აფასებდნენ. ასევე, სერვისის მომხმარებლების მიერ შევსებული, კვლევის ფარგლებში შემუშავებული, სერვისით კმაყოფილების რაოდენობრივი კითხვარი. კვლევის თვისებრივი კომპონენტი მოიცავდა ფოკუს-ჯგუფს ცენტრის 4 ფსიქოკონსულტანტთან და 5 ჩაღრმავებულ ინტერვიუს - სერვისის მომხმარებლებთან.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი ეფექტურად მუშაობს. ამაზე მიუთითებს სერვისის მომხმარებლების კონსულტირებამდე და კონსულტირების შემდგომი კითხვარების მონაცემებში ფსიქიკური ჯანმრთელობის სიმპტომების კლება (შფოთვის სიმპტომების საშუალო მაჩვენებელი შემცირდა 13-დან 4-მდე; დეპრესია - 15/3; ფსიქოსომატიკა - 19/13; გამოსავალი 15/7) და ფუნქციონირების დონის გაუმჯობესება (24/15). ამასვე ადასტურებს სერვისის მომხმარებლებთან ჩატარებული რაოდენობრივი კითხვარი და ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგები, რომელთა თანახმად, კონსულტირების შედეგად გაუმჯობესდა სტუდენტების ცხოვრების ხარისხი, აკადემიური მოსწრება და პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარი.

კვლევის შედეგებიდან გამოიკვეთა სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის მომავალი განვითარების რეკომენდაციები.

წარმოდგენილი კვლევა წვლილს შეიტანს, აღნიშნული ცენტრის მუშაობის გაუმჯობესებასა და მომსახურების დახვეწაში. ასევე, კვლევის გაცნობამ შესაძლოა შთააგონოს სხვა უნივერსიტეტები, შექმნან ანალოგიური სერვისები.

საძიებო სიტყვები:

ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეები, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ფსიქიკური აშლილობები, ფსიქოკონსულტირების ცენტრი, სტუდენტთა კეთილდღეობა

Abstract

The present work aims at studying the efficiency of the Students' Psychological Counseling Center of Ilia University. The respondents of the survey were the consultants from the Center and students as service users. The study methodology was a mixed one and presented a combination of quantitative and qualitative survey methods. For the quantitative component of the study, posttraumatic stress, depression, anxiety, functioning and output screening questionnaires were developed. They were used by the service consultants to evaluate the students' state in the starting and ending phases of the sessions. A quantitative service satisfaction questionnaire filled in by the service users and developed within the scope of the survey was also used. The qualitative component of the survey covered a focus group with 4 physiological consultants of the Center and 5 in-depth interviews with service users.

Based on the survey results, we can conclude that the Students' Psychological Counseling Center of Ilia University works efficiently. This is evidenced by the reduced physic health symptoms in the post-consulting phase as compared to the pre-consulting phase as evidenced by the data of the questionnaires (the mean value of symptoms of anxiety reduced from 13 to 14; depression – 15/3; psychosomatics – 19/13; output – 15/7 and improved level of functioning (24/15). The same is proved by the quantitative survey with service users and results of in-depth interview suggesting that the students' quality of life, academic standing and independent problem-solving ability improved as a result of counseling.

The survey results yielded the recommendations for the future development of the Students' Psychological Counseling Center.

The present survey will contribute to the improved operation and services of the Students' Psychological Counseling Center of Ilia University. Besides, familiarization with the survey may stimulate other universities to introduce similar services.

Key words: Mental health, Mental health difficulties, Mental health problems, Mental disorders
Psychocounseling center, Students wellbeing

მადლობა

მადლობას ვუხდით კვლევის ხელმძღვანელებს, ქ-ნ დარეჯან ჯავახიშვილსა და ქ-ნ ნინო მახაშვილს გაწეული დახმარებისა და მიღებული გამოცდილებისთვის. ასევე, სერვისის ფსიქოკონსულტანტებს და მომხმარებლებს კვლევის პროცესში აქტიური მონაწილეობისთვის.